მამუკა მაღულარია

გვიანი გასეირნება

გვიანობამდე ვისეირნეთ. ცოტა ჩამობნელდა კიდეც. ის მხოლოდ მესამედია, ჩემთან შედარებით, სიმაღლეში და სულ ორი წელია რაც გაჩნდა... დავაგვიანე მაგრამ, როგორც იტყვიან სჯობს გვიან, ვიდრე არასდოსო. მეც ამას ვფიქრობდი მაშინ. მანამდე კი, როგორც მეტ-ნაკლებად განსწავლული, ერთი ჩვეულებრივი თბილისელი სნობი, ზომიერად ნაზიარევი დასავლურ კულტურასაც და საკმარისად მოსწრებული საბჭოურ იდილიასც, იმ ჭკუაზე ვიყავი, რომ "დაბადება ნიშნავს გარდაცვალებას". თუმცა, ეს აზრი იმ დღესვე გამიქრა, ჩვენი ბიჭი რომ გაჩნდა და გუშინამდე ალბათ აღარც გამახსენდებოდა...

ასე ვისეირნეთ გვიანობამდე, მან და მე - მომავალმა და მიმავალმა. ასეთ გასეირნებას რაღაც სიამაყე ახლავს ხოლმე ყოველთვის. სიამაყე იმისა, რომ სიცოცხლე გრძელდება - ის უკვე მყარად დგას ფეხზე და შენც ჯერ კიდევ დგახარ და არანაირი ბუნდოვანი აზრისათვის თავში ადგილი აღარ გაქვს....

ბოლოს შეთანხმებულად შინ დაბრუნება გადავწყვიტეთ და ბაღის გასასვლელისკენ წავედით. მოულოდნელად - შუა გზაზე კატის, სულ ახლად დაბადებულ კნუტებს გადავაწყდით. ვინ იცის რაზე ფიქრობდნენ ისინი... ერთი კი ცხადია, რაღაცას გვეუბნებოდნენ თითქოს. ჩვენი აღფრთოვანებაც გულწრფელი იყო იმ წამს, რადგან არ გვესმოდა მათი... ინიციატივა მე მეკუთვნოდა - მინდოდა, ღვთის ეს ქმინილებანი გამეცნო ჩემი შვილისათვის. სულ ოთხნი იყვნენ, იმ ოთხი მხედარივით: ზოგი ჭრელი და ზოგიც რუხი. ჩვენს ბიჭს კატები მხოლოდ ანიმაციურ ფილმში თუ უნახავს, დაჯღანულები. ჰოდა, ისიც დიდი ინტერესით შეხვდა ამ მოულოდნელ ნაცნობობას.

სახეზე დავაკვირდი - არ შეეშინდეს მეთქი, ვიფიქრე. ის კი იღიმოდა და მათი მოფერებაც ეწადა...

მოულოდნელად მის თვალებზე ცრემლი შევნიშნე. არ ვიცი რატომ. შეშინებული ნამდვილად არ იყო, უფრო კმაყოფილი ეთქმოდა. ცოტათი დავფრთხი. იქნებ არც ღირდა ეს ექსკურსი... სულ დავიბენი და ბავშვი ხელში ავიყვანე. თითქოს ოდნავ ზლუქუნებდა, სულ ოდნავ... თუმცა გარეგნულად მაინც ბედნიერი ჩანდა, რადგან ეს სათამაშოები ცოცხლები იყვნენ. უკვე სახლს რომ ვუახლოვდებოდით მხოლოდ ამასღა ვფიქრობდი: ნეტავი როგორი ძილი მოგველის...

2014